# სახალხო გაბათილება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 7 (4528) • 6 აპრილი • 2016 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •


# 14 აპრილი დედაენის დღეა – გილოცავთ!

## მსოფლიოს „მზის შვილებს“ ვეხმიანებით

# „მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“

**უკვე** ხუთი წელიწადია, რაც 21 მარტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, დაუნის სინდრომის საერთაშორისო

დღედ დაწესდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინტერესო ღონისძიებები იმართება. მსგავსი სახის ღონისძიება

ჩვენთან უკვე მეოთხედ აღინიშნება.

დაუნის სინდრომით ყოველი 800 ბავშვიდან ერთი იბადება. ასეთი მოზარდები შესაძლოა, ნებისმიერ ადამიანს ეყოლოს. სპეციალისტების თქმით, დაუნის სინდრომი არა დაავადება, არამედ გენეტიკური ცვლილებაა. იგი არც მემკვიდრეობითია და არც გადამდები. დაუნი არ შეიძლება გამოიყენებოდეს დამაკნინებელ სიტყვად. **დაუნი** გახლავთ მეცნიერი, რომელმაც პირველმა აღწერა ეს სინდრომი.

2013 წელს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით დამკვიდრდა „**უთვალავი წინდის**“ ტრადიცია, რომლის მიზანია: მასობრივი სოლიდარობის ორიგინალურად გამოხატვა. ფერადი წინდის შეძენით, ადამიანები იქცევენ გარშემომყოფთა ყურადღებას, ხდებიან ინფორმაციის გამავრცელებლები და იღებენ სოციალურ პასუხისმგებლობას. ასევე, წვლილი შეაქვთ დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფონდში, რომელიც

უფლებების დაცვასა და სტიგმის დაძლევაზე მუშაობს.

სწორედ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, **თბილისის გურამ რამიშვილის სახელობის მე-20 საჯარო სკოლაში** გაიმართა ღონისძიება-აქცია სახელწოდებით: **„მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“**, რომლის ორგანიზატორი გახლდათ გამოცდილი პედაგოგი, ბუნებისა და ბიოლოგიის მასწავლებელი **ქეთევან წითლანაძე**. აქციაში მონაწილეობდ-

ნენ 20-ე სკოლის ორი მე-8, მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეები, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები **„მზის შვილები“**.

ღონისძიება მართლაც შთამბეჭდავი გამოდგა. მან გაახალისა არამარტო აქაური მესვეურები, არამედ მოწვეული სტუმრები. აქცია სხვადასხვა აქტივობებისგან შედგებოდა... თავდაპირველად, გაიმართა **„მზის შვილების“** შესრულებული ნახატების გამოფენა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, რადგან ნამუშევრებში, ძირითადად, გადმოცემული იყო პატარების სულიერი განწყობა და შემეცნებითი მიდრეკილებები.

აქციაზე, ასევე წარმოდგენილი იყო ბავშვების მიერ მომზადებული ბანერები სხვადასხვა სლოგანებით: **„46=47“**, **„ქრონოსომებს არ ითვლიან“**, **„მზის შვილები ჩვენი მეგობრები არიან“**, **„ცხოვრება მათთან ერთად მშვენიერია“** და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი დაამშვენა მოსწავლეების მიერ ოსტატურად შესრულებულმა ქართულმა ცეკვამ.

ბოლოს ღონისძიების მონაწილეებმა კუს ტბაზე გადაინაცვლეს და აქ ფართომასშტაბიან აქციას შეუერთდნენ.

**ლელა ნერგაძე**, მე-20 საჯარო სკოლის დირექტორი: დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს ჩვენი სკოლაც შეუერთდა და მასწავლებელ **ქეთევან წითლანაძის** ორგა-

**გაგრძელება მე-2 გვ.**

## ლოსტი ასათიანი

## ქართული ენა

საქართველოს მთებში
გაგაჩინა ზენამ
სიყვარულის, ლექსის,
სადღეგრძელოს ენავ!
მოიმღერა დღემდის
უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების
ნაპრალებზე ხლტომა.
მყინვარების ღვთიურ
ბრწყინვალეებით დნობა,
ვაგნარებში ირმის
ვგოგის ნავარდობა...
უძველესმა ტომმა
დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა
ქარში როგორ ღელავს...
ან მთვარიან ღამით
ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ
სიყვარულის შიში
საქართველოს მთებში
გაგაჩინა ზენამ.
ხმათა ხავერდების
და ღმერთების ენავ!



## მრავალ გაზაფხულს დაესწარით, 143-ე ბაგა-ბაღელებო!

# თქვენზე ვზრუნავთ, პატარებო, დილა მშვიდობისა!

**თბილისის** 143-ე ბაგა-ბაღი მთელი უბნის მშვენებაა. იგი სანზონაში, ხორნაბუჯის ქუჩაზე მდებარეობს და აქ ყველანაირი პირობაა იმისათვის, რომ ცუგრუმელებმა თავი კომფორტულად და ბედნიერად იგრძნონ. ეზოში შესვლისთანავე მიხვდებით, რომ ბაღს გულისხმიერი მზრუნველი ჰყავს. აქ ყველაფერი წესრიგშია. ეზოში დამონტაჟებულია ცეროდენებისთვის საინტერესო სათამაშოები: კარუსელი, სასრიალო, „აიწონა-დაიწონა“, საქანელები და სხვა. ეზოს ამშვენებს ყვავილები და წიწვოვანი, მარადმწვანე მცენარეები. შენობაში კი, დიდი სითბოსა და სიყვარულის სურნელი ტრიალებს, რაც ბაღის მთელი კოლექტივის დიდი დამსახურებაა. ამიტომაც არის, რომ პატარებს აქ ყოველთვის მიუხარიათ.

დირექტორი **ირმა მაყაშვილი** არამარტო კარგი ხელმძღვანელი, არამედ შესანიშნავი პიროვნება და გულთბილი ადამიანია. იგი, ერთნაირად უყვარს დიდსა თუ პატარას. ბავშვები კი, მის დანახვაზე სიხარულს ვერ მალავენ, დიდი სიყვარულით ეხვევიან და ეალერსებიან. ქალბატონი ირმა, ყველას ერთნაირად უნაწილებს სითბოს და არცერთ პატარას არ ტოვებს უყურადღებოდ. იგი, უკვე ცხრა წელიწადია ბაღის თავკაცია და ვინ მოთვლის ამ ხნის მანძილზე რამდენი კარგი საქმე გააკეთა. ეზო კეთილმოეწყო, გაკეთდა სპორტული მოედანი, ღობე მთლიანად გამოიცვალა, რაც ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით მოხერხდა. შენობას კი, ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, გარემონტდა ოთახები, დარბაზი, სამზარეულო, მოწესრიგდა სველი წერტილები და დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა. ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით და სხვადასხვა სათამაშოებით. სამომავლოდ, დაგეგმილია შენობის დარჩენილი ნაწილის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. მალე ბაღს 3 ჯგუფი დაემატება. წლების წინ იყო 5 ჯგუფი, ახლა კი 7 ჯგუფია. ბაღი აქტიურადაა ჩართული **„სასკოლო მზაობის პროგრამაში“**. იმართება სასწავლო ხასიათის გართობები, ღონისძიებები, აქტივობები და სპორტული შეჯიბრებები – **„მხიარული სტარტები“**. მალე, დედაენისა და სიყვარულის დღესთან დაკავშირებით გრანდიოზულ

ღონისძიებას ვიხილავთ.

საგულისხმოა, რომ შარშან, 143-ე ბაღი საუკეთესო საბავშვო დაწესებულებად დასახელდა. აქ სანიტარული ნორმები, ზედმიწევნით კარგად არის დაცული და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, შესაბამისი სერთიფიკატი მიენიჭა.

გამოცდილი დირექტორი **ირმა მაყაშვილი** ბაღის წარმატებებს მის კოლექტივს უმადლის და სიამაყით აცხადებს, რომ აქ მომუშავე თითოეული თანამშრომელი მაღალკვალიფიციური კადრია, ყველა შესანიშნავად უძლევება მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

გაგაცნობთ შემოქმედებითად მოღვაწე ბაღის თანამშრომლებს, რომლებიც შექება-წახალისებას

ნამდვილად იმსახურებენ. ესენი გახლავთ: დირექტორის მოადგილე – **მაია კობახიძე**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი – **ქეთევან სუსუნიაშვილი,** სასწავლო ნაწილის კოორდინატორი – **გულნაზი მუხიგულაშვილი**, საქმისმწარმოებელი – **ნინო გვილავა,** ლოგოპედი – **მაყვალა კობიძე**, ფსიქოლოგი – **მაკა მანჯგალაძე**.

პატარების ჰიგიენასა და ჯანმრთელობაზე ზრუნავს ენერგიული ქალბატონი, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორი – **ლელა ახალაია**. იგი პატარებს დედასავით თავს ევლება.

ასევე დედასავით ზრუნავენ ცუგრუმელებზე ახალგაზრდა და გამოცდილი აღმზრდელები: **ლარისა ხერკელიძე, ნინელი ზუბაშვილი, ხათუნა ბაზიკიანი, ქეთევან ხარიტონაშვილი, ეკატერინე მუხიგული, შორენა ფანჯარაშვილი, ეკა ლაგურაშვილი** და **თეონა ბახტურიძე.** აღმზრდელებს მხარს უმშვენებენ მათი თანაშემწეები: **მედიკო თოიძე, თეონა გუგეშაშვილი, ნადეჟდა ჯლანტიაშვილი, ნინო დოლიძე, ლალი ჩუბინიძე, ნინო ჭოლარია, ეკატერინა წიქარიშვილი, ოლღა ტურაშვილი, ლეილა ბერაია, მარინა ჯადუგიშვილი, ქეთევან ფოცხვერაშვილი, ტატიანა გვილავა, სუსანა ქარაია** და **ნინო გენებაშვილი.**

აღსაზრდელებს ცხოვრებას უხალისებენ და ხელოვნების სიყვარულს უნერგავენ მუსიკის პედაგოგები – **მარგარიტა კიკაჩეიშვილი** და **ნანული ჯანუყაშვილი.** ისინი ბრწყინვალე პროფესიონალები არიან.

გაგრძელება მე-3 გვ.

## 1-ლი გვერდიდან

ნიზებით, მართლაც ძალიან კარგი და თბილი ღონისძიება გაიმართა. თქვენც იხილეთ, რომ დაუნის სინდრომიანი ბავშვები ბუნებით კეთილნი, გამორჩეულები და განსაკუთრებულები არიან, მათგან

დიდი პოზიტივი და დადებითი ენერგია მოდის. გამომუშავებული აქვთ ჩვეულებრივი უნარ-ჩვევები. ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს და მათ სხვა ბავშვებისგან არ ვანსხვავებთ.

**ქეთევან წითლანაძე**, ბუნებისა და ბიოლოგიის პედაგოგი: ღონისძიების ორგანიზებისას მხარში ამომიდგნენ: სკოლის დირექტორი, არაჩვეულებრივი ქალბატონი **ლელა ნერგაძე**, სასწავლო ნაწილის გამგე, კეთილშობილი პიროვნება **ზურა სადაღაშვილი**, ასევე, კლასის დამრიგებლები **თათა საბანაძე**, **შორენა მოსიაშვილი, ნათია ვალიევა** – შესაბამისად, მე-5 მესამე, მე-6 პირველი, მე-8 პირველი და მე-8 მეორე კლასების მოსაწავლები, რისთვისაც ყველას დიდ მადლობას ვუხდი. ჩვენს სკოლაში, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი, რათა თავი კომფორტულად და მშვიდად იგრძნონ. აქ დიდ სიყვარულში იზრდებიან და ისინიც სიყვარულითვე გვპასუხობენ.

დაუნის სინდრომიანი ბავშვები, ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, უზომოდ კეთილები და თბილები. მათ არ იციან ბოროტება, სიძულვილი. სკოლაში მათთან მუშაობენ მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგები, რომლებიც განსაკუთრებულ შექებას იმსახურებენ, ესენი გახლავთ: **სანათა შეროზია**, **ლევან მუშკუდიანი** და **მარიამ გოჩაშვილი**.

აღსანიშნავია, რომ **ქეთევან**

**წითლანაძე** გამოირჩევა დიდი ნოვატორული იდეებით. მისი ინიციატივით არაერთი დიდი შემეცნებითი ღირებულების ღონისძიება გაიმართა. ჩატარდა სკოლის შემოქმედებითი საღამო, რომელიც საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებაში“ გაშუქდა.

საგულისხმოა, რომ მე-20 სკოლა გამოირჩევა დედაქალაქში მაღალი აკადემიური მოსწრებით. აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი, რათა ბავშვებმა სრულფასოვანი განათლება მიიღონ. ყველაფერი ეს სკოლის დირექტორის **ლელა ნერგაძის** და მაღალკვალიფიციური პედაგოგების დამსახურებაა. სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და გამარჯვებას უთუოდ იზეიმებს.

**მზია გოგოძე**

## მე-2 გვერდიდან

აქ კვება სანიმუშოა: დაცულია კალორიულობა, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. ცუგრუმელებს გემრიელ საკვებს

უმზადებენ მზარეულები: **მარიამ მერებაშვილი** და **მადონა ტაბაღუა.** ცეროდენებს ძალიან მოსწონთ ეს

კერძები, დედისგან შინ დამზადებულს ურჩევნიათ.

ბაღს ემსახურება მაღალკვალიფიციური ტექნიკური პერსონალი,

რომელთა შრომა, უდაოდ დასაფასებელია. ესენია: დამლაგებლები: **ეთერი მჭედლიძე, მაკა ჭოლაძე,** მრეცხავები: **ლალი წოწკოლაური, ნინო ფილიშვილი** და **ლალი**

**მერებაშვილი.** Dდარაჯები: **ოთარ ნადირაშვილი** და **ზურაბ მეტრეველი,** მუშა: **დავით მალანია** და მებაღე: **მანანა მეშველიშვილი.** მათი მარჯვენით ბაგა-ბაღი უფრო და უფრო მშვენდება, ძლიერდება.

აღსანიშნავია, რომ ბაღის თანამშრომლები მოღვაწეობენ გუნდური მუშაობის პრინციპით. შექმნილი არის მეგობრული და კეთილგანწყობილი გარემო. აქაური მესვეურები, მუდამ ცდილობენ პატარებს გული გაუხარონ და სასიამოვნო გარემო შეუქმნან. ამიტომაც არის, რომ უბნის მაცხოვრებლები და მშობლები, კმაყოფილი არიან ბაღის მუშაობით და საჯაროდ უხდიან მადლობას ბაღის თითოეულ თანამშრომელს. ასე რომ, 143-ე ბაგა-ბაღი ძალიან პოპულარულია უბანში.

გაზაფხულის მოსვლას გილოცავთ, ხალისიან ცხოვრებას გისურვებთ!

**მზია გოგოძე**

## „ჩემი სკოლა და მასწავლებელი“

### ახალი რუბრიკის მიზანი მოსწავლესა და პედაგოგს შორის ურთიერთპატივისცემის, მეგობრობის გაღრმავება-გაძლიერებაა

# რიცა სწავლა და აღმზრდელი გიყვარს

**რუბრიკის** სტუმარია 65-ე საჯარო სკოლის ერთ-ერთი წარმატებული და-ძმა – **დათუნა** და **თეონა დათუნაშვილები**, ძალიან ნიჭიერები, სწავლაში წარჩინებულნი, თბილები და საზრიანები არიან. ორივე წარმატებით მონაწილეობს სასკოლო ოლიმპიადებსა და სხვადასხვა ტურებში... **თეონა** მღერის, უკრავს ფორტეპიანოზე, **დავითი** ცეკვავს და გატაცებულია სპორტით... მათ ძალიან უყვართ თავიანთი სკოლა, სულ ტიტინ-ტიტინით გვიამბეს სკოლის ამბები და გაგვიმხილეს სამომავლო გეგმები...

დირექტორი ნინო მჭედლიშვილი

* * *

**თეონა დათუნაშვილი**: მე მეხუთეკლასელი ვარ, მიყვარს მუსიკა, ვუკრავ ფორტეპიანოზე, მასწავლებელი **ლალი დოლიძე**, დიდ იმედებს ამყარებს ჩემზე. ბევრს ვკითხულობ, მაქვს მდიდარი ბიბლიოთეკა. ახლახან კი, დედას ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“ ვაყიდინე – დიდი სურვილი მაქვს წავიკითხო. ამ სკოლაში შარშან გადმოვედი, თავიდან გამიჭირდა ყოფილი სკოლის მეგობრები და მასწავლებლები მენატრებოდა, მაგრამ მალე შევეჩვიე აქაურობას. კლასი ჩვენი დამრიგებლის, **აზა გულბანის** წყალობით მეგობრული და წარმატებულია. აზა მასწავლებელი ბევრს ზრუნავს ჩვენზე. ის ბუნებას გვასწავლის, ერთი გაკვეთილის „ჩაგდებას“ არავის აპატიებს. მუდამ წესრიგისაკენ მოგვიწოდებს, უნდა კარგები და ყოჩაღები გავიზარდოთ. ყველა საგანი და ყველა მასწავლებელი ერთნაირად მიყვარს, მათემატიკა – ჩემმა მასწავლებელმა **მარინა ჯალიაშვილმა** შემაყვარა, ოლიმპიადებში მოპოვებული ყველა გამარჯვება მისი დამსახურებაა. ქართულს **მაია ნებიერიძე** გვასწავლის, ის დედასავით თბილი და მზრუნველია, ყველას უყვარს მისი გაკვეთილები. ჩემი ინგლისურის მასწავლებელი **ნათია კილაძეა**, სულ ხალისით ვსწავლობთ, შეუძლებელია, მისი ახსნილი გაკვეთილი ვერ გაიგო, ან ვერ აითვისო. ისტორია ძალიან მიყვარს, რაც საგნის მასწავლებლის, **ზაზა ნაცვლიშვილის** დამსახურებაა. ამასწინათ, როგორც წარმატებულ მოსწავლეს, გაკვეთილის ჩატარების უფლება მომცა, ეს დაუვიწყარი დღე იქნება ჩემს ცხოვრებაში. ჟურნალისტობაზე ვოცნებობ. მინდა, ვასახელო ჩემი სკოლა, ოჯახი და სამშობლო!

* * *

**დათუნა დათუნაშვილი**: მე მეორეკლასელი ვარ, ჩემი დამრიგებელი **ზიტა ბედიაშვილი** მეტად საყვარელი მასწავლებელია, მშვიდი და მეგობრულია... ჩემზე ამბობს – მოუსვენარი და ცელქი ხარ, მაგრამ ძალიან ბეჯითიცო... მომწონს და მიხარია, როცა მაქებს... ჩემი საყვარელი საგანი მათემატიკაა, ვმონაწილეობ მათემატიკის ოლიმპიადებში, მაქვს ბევრი ქების სიგელი და სერთიფიკატი. სკოლა ჩემი მეორე სახლია. თანაკლასელების უმრავლესობა ბაღიდან ერთად მოვდივართ, ამიტომ და-ძმებივით ვართ. ჩვენი შემხედვარე მშობლებიც დამეგობრდნენ. თბილისის 65-ე საჯარო სკოლაში შეყვანა დედას ვთხოვე

დათუნა დამრიგებელთან

ბაღელი ძმაკაცის, **ალექსანდრე ქურთაევის** ხათრით. ორივეს ძალიან გვინდოდა, ერთ კლასში – ერთ მერხთან დავმსხდარიყავით. ალექსანდრე ახლა ამერიკაში ცხოვრობს, ხშირად ვეკონტაქტებით ერთმანეთს, ვუყვები სკოლის ამბებს. მეც ვოცნებობ ამერიკაში წასვლაზე, ამიტომაც განსაკუთრებულად ვსწავლობ ინგლისურ ენას. თავისუფალ დროს სპორტით ვარ დაკავებული, დავდივარ ჭიდაობაზე, – ძლიერი, კუნთოვანი ბიჭი უნდა გამოვიდე. ჩემი ლამაზი დედიკო და თანაკლასელი გოგონები უნდა დავიცვა ძალადობისგან. მინდა პოლიციელი გავხდე. ბევრ კეთილ საქმეს გავაკეთებ!

– „სწავლების ხარისხი, პროფესიონალი პედაგოგები, ნოვატორი დირექტორი და თბილი ოჯახური გარემო, – აი, რის გამოც ყოველდღე თითქმის 30 კილომეტრს გავდივართ მე და ჩემი შვილები... აქ სულ სხვა სივრცეა, სხვა სითბო ტრიალებს. ჩემს ბიჭუნას ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია სწავლაში. პედაგოგები ძალიან ამომიდგნენ გვერდში.

თეონა დამრიგებელთან

დღეს დათუნა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოსწავლეა.

მადლობა სკოლას, მის დირექტორს **ნინო მჭედლიშვილს**, ყველა პედაგოგს, რომლებიც პატრიოტ ახალ თაობას ზრდიან! – გვითხრა თეონას და დათუნას დედამ – **ელა ბენიძემ**.

**რუბრიკა მიჰყავს ჟურნალისტ ირმა მეგონიას**

დედასთან ერთად

**თბილისის 166-ე საჯარო სკოლაში ძლიერი პედაგოგები არიან**

# მიზანი, რომელიც ოცნებაზე მეტია

**დიდუბის** პანთეონთან მდებარე ეს დიდებული სკოლა დედაქალაქში ყოველთვის იყო და ახლაც არის გამორჩეული. რით? რითდა, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მიღწეული წარმატებებით, საამაყო ისტორიული წარსულით, ორიგინალური იერსახის შენობით. აქ მუდამ იყვნენ და ახლაც ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ. რომ იკითხოთ, ყველა გეტყვით: „ეს ელიაურის სკოლაა“. **აკაკი ელიაური** დიდხანს გამოჩენილი დირექტორი გახლდათ ამ სკოლისა, და მის მდიდარ ტრადიციებს უკვე 8 წელია დიდი წარმატებით აგრძელებს ახალგაზრდა, შემოქმედი დირექტორი **ირმა ომანაძე**. მისი ხელმძღვანელობით სკოლა ევროპული სტანდარტების კვალდაკვალ მაღალ შედეგებზე არის ორიენტირებული. მართალია, დღეს ამ შენობაში შეხიზნული მე-100 საჯარო სკოლაა, თუ შეიძლება ითქვას, თითქოს შეუმჩნეველ დისკომფორტს ქმნის, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. მთავრობის ძალისხმევით, იმედია, მე-100 სკოლა მალე ახალაგებულ შენობაში გადავა, და...

ირმა ომანაძე

გთავაზობთ **ირმა ომანაძესთან** საუბრის მოკლე შინაარსს.

***

**მაღალი** შედეგებისკენ მიმსწრაფი გუნდია მთელი პედაგოგიური კოლექტივი, სკოლის თითოეული მუშაკი. დირექციის მხარდამხარ დიდი მონდომებით იღწვიან: დირექტორის გამოცდილი მოადგილეები: **მაია კაკაურიძე** და **ნინო როსტომაშვილი,** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **მაგდანა მდივანი.** სასკოლო ცხოვრებაში ხალისი შეაქვს მოსწავლეთა თვითმმართველობას **ელენე ზანგურაშვილის** თაოსნობით.

ზემოთ ვთქვით, აქ ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენო: დიახ, 34 უფროსი მასწავლებელია. **ვაჟა კაკაბაძე** ეკონომიკის დოქტორია, **მანანა ვარლამაშვილი** – მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასების ქიმიის სახელმძღვანელოების ავტორია. ეს მართლაც დიდი ძალაა.

სწავლებაში მაღალი ხარისხი პირდაპირპროპორციულია საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობისა. კათედრებს უნარიანად ხელმძღვანელობენ: სახელმწიფო ენის ე. ი. ქართული ენა-ლიტერატურისას – **თამარ ხომასურიძე**, უცხოური ენებისას – **ნანა იოსელიანი**, მათემატიკისას – **ქეთევან ვერულაშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისას – **მარინე მაზმიშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისას – **ირინე კობალაძე**, ესთეტიკური აღზრდისას – **თამარ გოცირიძე**, სპორტისას – **ზურაბ მეტრეველი**, დაწყებითი საფეხურისას – **მაია ლასხიშვილი**.

შარშან სკოლადამთავრებულთაგან 4 ოქროს მედალოსანია: **თამთა ჩხიკვაძე**, **ლუკა გიორგაძე**, **ნუცა წამალაშვილი** და **ანი სისორდია**, ხოლო 3 ვერცხლისა: **ნათია აღდგომელაშვილი**, **დავით ჩიკვაიძე** და **ანი შამათავა**. სტუდენტებიდან 100% გრანტი მოიპოვეს: **დავით ჩხიკვაძემ**, **თამთა ჩიკვაიძემ**, **სალომე ნიკოლეიშვილმა**, **თორნიკე ფანქველაშვილმა**, **სალომე სიბაშვილმა**, **ნუცა წამალაშვილმა**, **ანი სისორდიამ**, **ნათია აღდგომელაშვილმა**, **ანი შამათავამ**, **ლუკა გიორგაძემ**, **ნიკა აფციაურმა** და სხვებმა.

მაღალია მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი ჩართულობა-აქტივობები: ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გამარჯვებულნი არიან: **ანი წამალაშვილი** (ქართული ენა-ლიტერატურა) – მასწავლებელი – **თამარ შაორშაძე**, დამრიგებელი – **ლია სირაძე**. **თამთა ენდელაძე** (ქართული ენა-ლიტერატურა), **ლალი ტურიაშვილი**, **მარგალიტა ჩუგუაშვილი**. **ქეთევან მსხილაძე** (ინგლისური ენა) – მასწავლებელი **ნატა ქევხიშვილი**. (რუსული ენა) – მასწავლებელი **მარინე ფირცხალავა**. **თამარ გვერდწითელი** (ინგლისური ენა) მასწავლებელი – **ლეილა თანდილაშვილი**, **მაია მელქაძე**.

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის გამარჯვებულნი არიან: **ანი წამალაშვილი**, **მარიამ ბულისკერია** და **ნიკოლოზ ბაქრაძე** (მასწავლებელი **მადონა ცინცაძე**).

ინტელექტუალურმა გუნდმა წლის „თბილისის ეტალონი გუნდი“-ს ტიტული მოიპოვა. გამარჯვებულები არიან: **ნიკა ბულისკერია**, **თამარ მიხელიძე**, **ელენე სისორდია**, **ელენე გოგალაძე**, **ნინო აბესაძე**, **ანა ჯანსევერ**, **გიორგი ბადრიძე**, **დავით ბადრიძე**, **ანა მარია ალიხანაშვილი** და **თამარ ჭელიძე**. გუნდის ხელმძღვანელია დირექტორის მოადგილე **ნინო როსტომაშვილი**.

სკოლის ბიბლიოთეკაში 10 000-ზე მეტი მხატვრული, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურაა. სისტემატურად ახლდება საბიბლიოთეკო ფონდი. მოსწალეებს და პედაგოგებს ემსახურება და ასევე საინტერესო ღონისძიებებს ატარებს გამოცდილი ბიბლიოთეკარი **ნანა კოჭლამაზაშვილი**.

30 წელზე მეტია, სკოლასთან არსებობს ბავშვთა ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფიული ანსამბლი **„იმედი“**, პედაგოგების **ჯემალ რეხვიაშვილისა** და **ნუნუ ღვინერიასა** ხელმძღვანელობით. ანსამბლს მოვლილი აქვს თითქმის მთელი მსოფლიო და უამრავი კონკურსის ლაურიატია. 2012 წლის აპრილში ფილარმონიის წინ გაიხსნა ანსამბლ **„იმედის“** ვარსკვლავი.

ლალი ლიდუაშვილი გაკვეთილზე III³ კლასში

6 წელზე მეტია, რაც სკოლასთან არსებობს ბავშვთა ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი **„საგალობელი“**, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი **რამინ მიქაბერიძე** და მისი ქალიშვილი **მაია მიქაბერიძე**.

ასევე პოპულარულია ბავშვთა ვოკალური საესტრადო ანსამბლი **„მუზა“** და მასწავლებელთა ტრიო (**ქეთევან ჟღენტი**, **ეკა მამულაშვილი** და **ია ცუცქირიძე**) ქალბატონი **მარინა თავართქილაძის** ხელმძღვანელობით. ანსამბლი არაერთგზის გახდა **გოგი დოლიძის** სახელობის ეროვნული საესტრადო სიმღერების კონკურსის ლაურეატი, კონკურს **„პატრიოტის“** ფინალისტი, საპატრიარქოს ახალგაზრდული ორგანიზაცია **„დავითიანის“** მიერ ორგანიზებული **„არტფესტივალის“** გამარჯვებული ხალხულ სიმღერებსა და საგალობლებში. ანსამბლ „მუზას“ სოლისტი მე-10 კლასის მოსწავლე **მანანა ღავთაძე** არის: ნანი ბრეგვაძის სახელობის კონკურსის ფინალისტი, სატელევიზიო კონკურსის „თორმეტი მტრედის“ და „მელოდია 2008“-ის ფინალისტი. გოგი დოლიძის სახელობის ლაურეატი, კონკურს „ნიუ სტარის“ გამარჯვებული.

ინტეგრირებული კლასი

მოსწავლეები მასობრივად ჩართული არიან: **კალათბურთის**, **ფრენბურთის**, **აღმოსავლური ორთაბრძოლების** — **კარატე-დოს** სპორტულ სექციებში, მწვრთნელები: **ზურაბ რაზმაძე**, **ნანა გულიტაშვილი** და **მზეჭაბუკ მახარაძე**. სკოლა მათი წარმატებებით ამაყობს.

მესამე წელია ფუნქციონირებს აუტისტური სპექტრის მოსწავლეთა ინტეგრირებული კლასი. მათ ემსახურებათ ორი ფსიქოლოგი, ორი სპეციალური მასწავლებელი, ერთი საგნის მასწავლებელი და ორი დამხმარე სპეციალისტი (ძიძა). ისინი ინტეგრირებული არიან სკოლის მოსწავლეებთან შესაბამის კლასებში.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები საქველმოქმედო საქმიანობაში.

სკოლა აქტიურობს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. ამჟამად მონაწილეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და USAID-ის დაფინანსებით (მხარდაჭერით) განხორციელებულ დაწყებითი განათლების G-Pried -ის პროექტში, სისტემატურად იღებს მონაწილეობას PIRLS-ის საერთაშორისო კვლევაში.

სკოლა ტრადიციულად ორიენტირებულია განათლების მაღალ ხარისხზე, მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე. სასკოლო ცხოვრების შინაასობრივი და აღმზრდელობითი კუთხით გააქტიურებაზე. გისურვებთ დიდ გამარჯვებას, 166-ე სკოლელებო!

**ბორის მიშველაძე**

მარინე გასიშვილი II² კლასში გაკვეთილზე

სახალხო განათლება +



**დირექტორს** კაბინეტის კარებთან ველოდებოდი. დამლაგებელმა გამოიარა, – მალე მოვაო, – მანუგეშა, – დირექტორი ძალიან კარგი კაცია, ძმაოჯან, თანამშრომლებს კარგად გვეპყრობა, იგი ყველას გვიყვარს.

დირექტორს, როგორც დიდებულ პიროვნებას და ხელმძღვანელს, თავადაც ახლოს ვიცნობდი, მაგრამ რიგითი მუშაკისგან გაგონილი შეფასება მეტად მესიამოვნა. არ იფიქროთ, ასეთი ლირიკული შესავალი შემთხვევით გავაკეთე. რამდენ დირექტორს ვიცნობ: ყოყლოჩინას, წარბშეკრულს, მძიმედ მოსაუბრეს, უჟმურს, რომელიც რიგით თანამშრომელს კი არა, კოლეგასაც მოჟამულ გუნებაზე დააყენებს. მათი დანახვისას მაშინვე მახსენდება იაკობის „დედა ენაში დახატული ორი თავთავი: ერთი ცხვირაწეულია, მეორე კი – თავდახრილი.

ჩვენი წერილის მთავარი პერსონაჟი საგანმანათლებლო სივრცეში კარგა ხანია მეტად ცნობადი სახეა, ღვაწლმოსილი, მაღალპროფესიონალი, უბრალო, მეგობრული. **თამაზ ნაცვლიშვილი** – ბრწყინვალე პედაგოგი – მუშაობდა მასწავლებლად, სკოლის დირექტორად, განათლების განყოფილების გამგედ ყოფილ საქარხნო (დღევანდელ სამგორის) რაიონში და ყველგან – წარმატებულად, ნაყოფიერად.

დღეს მისგან დაფუძნებულ-აღორძინებული დამოუკიდებელი ბიზნეს-სკოლის მაღალ-რეიტინგიანი დირექტორი გახლავთ.

გრძელი სიტყვა რომ მოკლედ ითქვას, გთავაზობთ დირექტორთან საუბრის მოკლე შინაარსს.

* * *

ბიზნეს-სკოლის საქმიანობის დევიზია: **თუ გსურთ თქვენი შვილი იყოს წარმატებული ბიზნესმენი - გახსოვდეთ, მყარი ცოდნა გამარჯვების საწინდარია!"**

## ნომრის სტუმარია დამოუკიდებელი ბიზნეს-სკოლა

# „მჭევრი" ევროპული სტანდარტებისკენ მიისწრაფვის

სასწავლებლის მენეჯმენტი (სკოლის გენერალური მენეჯერი _ **თამაზ ნაცვლიშვილი**, აღმასრულებელი მენეჯერი – **ლია გელენიძე**, მარკეტინგის მენეჯერი – **გოგი ღამბაშიძე**, სკოლისა და სკოლისგარეშე მუშაობის მენეჯერი – **ლამზირა მელქაძე**, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი – **ნუგზარ ქსოვრელი**, სკოლისათვის მოსამზადებელი ჯგუფისა და ბაღის მენეჯერი – **ლალი ნაცვლიშვილი** და სკოლის ბუღალტერი – **ესმა მამნიაშვილი**) დღენიადაგ ზრუნავს სასწავლო პროცესის სრულყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

ბიზნეს სკოლის პროგრამა შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე და იმ საუკეთესო გამოცდილებით, რაც დღეისათვის არსებობს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ბიზნეს სკოლის დაარსებიდან დღემდე გაღრმავებულად ისწავლება **ქართული ენა და ლიტერატურა**, **მათემატიკა** და **ინგლისური ენა**. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე საკომუნიკაციო-საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უნარების განვითარებას, ეკონომიკური საფუძვლების შესწავლას, მოსწავლეთა მომზადებას წარმატებული ბიზნეს საქმიანობის დასაწყებად და ამ საქმიანობისათვის საწყისი ელემენტების ცოდნის შეძენას. ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლის საკითხების, უფლება-მოვალეობების, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე ვალდებულებების მყარ ცოდნას. რისთვისაც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებთან ერთად სტანდარტზევით ისწავლება **ინფორმატიკა** – I-XII კლასებში, **ეთიკა** – VI-VIII კლასებში, **ბიზნესის საფუძვლები** – VII-XII კლასებში, **ამერიკათმცოდნეობა** – X-XII კლასებში და **ზოგადი უნარები** – XI-XII კლასებში. უცხო ენებიდან – **ინგლისური ენა** I-XII კლასებში, **რუსული ენა** – III-XII კლასებში და **გერმანული ენა** – VIII-XII კლასებში.

დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, წარმატებებს აღწევენ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა 40 მასწავლებელი, მათ შორის, 19 უფროსი მასწავლებელია და 1 ასოცირებული პროფესორი. თავდადებით ილვწიან: **ნათელა ჯიოშვილი, ციცო ფანჩულიძე** (ქართულის პედაგოგები), **ვენერა მირზაშვილი** (ქიმია), **ლანდიშ ახვლედიანი** (ფიზიკა), **რუსუდან ოდიკაძე** (გეოგრაფია), **ირინა ბოკერია** (ბიოლოგია). ახალგაზრდა პედაგოგები: **ირმა ჯალაღონია** და **შორენა პარუნაშვილი** (ქართული ენა-ლიტერატურა), **თინათინ მელაძე, გიორგი კვიკვინია** და **თეონა მგალობლიშვილი** (ინგლისური ენა), **მარი ქამხაძე** (მუსიკა) და სხვები.

საგნობრივ კათედრებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი პედაგოგები: **იზოლდა ბარამია** (დაწყებითი კლასების კათედრა), **ნათელა ჯიოშვილი** (ქართულის), **როზა ბარბაქაძე** (მათემატიკის, ისტ-ის, ბიზნესისა და ზოგადი უნარების), **მედიკო ყარასაშვილი** (უცხო ენების), **ლალი ხაბეიშვილი** (საზოგადოებრივ მეცნიერებათა), **ირინე ბოკერია** (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა) და **ლია ნატროშვილი** (ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა).

წარმატებით ჩააბარეს სასერთიფიკატო გამოცდები და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში აქტიურად არიან ჩართულები: **ლალი ხიმშიაშვილი, ცეზარ კორტი, ია ტოკლიკიშვილი, ქეთევან მარხვაშვილი** (დაწყებითი კლასები), **მანანა წიკლაური** (ქართული ენა), **მარინე** და **მანანა ბალანჩივაძეები** (მათემატიკა), **თამარ ნარეკლიშვილი** (ინგლისური ენა), **ირმა კუტალაძე** (გერმანული ენა), **სუსანა ერზიკიანი** და **ლია ნიკოლაიშვილი** (რუსული ენა), **ქეთევან ლავრენტაშვილი** და **ლერი ლევიძე** (ისტორია), **ნინო ჭიკაიძე** (ფიზიკა), **მერი ისკაკოვა** (ხელოვნება), **იური ხაჩიძე** (ბიზნესის საფუძვლები და ზოგადი უნარები), **ლელა შაოშვილი** (მუსიკა), მზია მოსაშვილი (ისტ.) და სხვანი.

სისტემატურად ეწყობა ღია და გასვლითი გაკვეთილები სხვადასხვა სახლ-მუზეუმებში, პოეზიის საღამოები და შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან. შთამბეჭდავი იყო გაკვეთილები ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია და ალექსანდრე ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმებში; ეთერ თათარაიძის პოეზიის საღამო, შეხვედრა ხელოვან **გოგა ჩანადირთან**.

ბიზნეს-სკოლა მოსწავლეთა წახალისების მიზნით ყოველი სემესტრის ბოლოს ავლენს სწავლაში წარჩინებულ მოსწავლეებს. მათ ენიშნებათ სასკოლო სტიპენდია. სტიპენდიანტი გახდნენ: **ვაჟა ხუბეჯაშვილი** ($V^{ა}$ კლასის მოსწავლე), **თამარ მშვიდობაძე** ($V^{ბ}$ კლასის მოსწავლე), **თამარ სალაყაია** ($VI^{ა}$ კლასის მოსწავლე), **მიხეილ ყველაშვილი** ($VII^{ბ}$ კლასის მოსწავლე), **ელენე საკანიანი** – ($VIII^{ა}$ კლასის მოსწავლე).

ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ სხვადასხვა კონკურსებსა და სპორტულ შეჯიბრებებში. „მეცნიერების თასის" ფინალისტები არიან: მე-10 კლასელები **მარიამ სამადაშვილი, მარიამ ფარჯიანი, ვახტანგ შუკაკიძე, თინათინ ჯანიაშვილი** და **ელენე ჭუმბურიძე** (მე-11 კლასი). კინგსის 2015 წლის შემოდგომის სეზონის გამარჯვებულები ქართულ ენაში – **თინათინ ჯანიაშვილი** და **მარიამ კოჭლამაზაშვილი** (მე-10); ინგლისურ ენაში – **მიშიკო მღებრიშვილი** (მე-3), **თამარ სალაყაია** და **სალომე საბანაძე** (მე-6).

სპორტულ შეჯიბრებებში თავი ისახელეს: თბილისის ჩემპიონმა კარატეში **ირაკლი გახარიამ** (მე-6 კლასი), საქართველოსა და თბილისის ჩემპიონატის პრიზიორები ბატუტზე ხტომაში **გიორგი გოგოლაძე** და **გიორგი სამხთუაშვილი**. ისანი-სამგორის რაიონის საფეხბურთო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი ბიზნეს სკოლის საფეხბურთო გუნდი (მწვრთნელები, სპორტის პედაგოგები **თემურ** და **თორნიკე ფუტკარაძეები**) და სხვა.

პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის შედეგებს მნიშვნელოვნად განაპირობებს სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი. სკოლას ჰყავს საამაყო კურსდამთავრებულნი, მედალოსნები: **ეკატერინე ხარშილაძე** და **ანა გზირიშვილი** (ვერცხლი), **დიმიტრი ხარშილაძე** (ვერცხლი) და **ონისე წულაია** (ოქრო).

ხალისიან შემოქმედებით მუშაობას ეწევა მოსწავლეთა თვითმმართველობა. მათი ინიციატივით გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიებები ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა და ჩვენივე სკოლის ერთ ერთი მოსწავლის დასახმარებლად და საღამოებიდან შეგროვებული თანხა გად-

გაგრძელება მე-6 გვ.

## მე-5 გვერდიდან

არიცხა შესაბამის ფონდებში. ამ ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართული თვითმმართველობის წევრები: **ანი ჩალათაშვილმა** (პრეზიდენტი), **ალექსანდრე ვეშაპიძე** (მე-11 კლასი) **მარიამ სამადაშვილი, ლიზი კრასნორუცკაია, მარიამ მირიანაშვილი, მარი ფარჯიანი**

(მე-10 კლასი), **ანი ინაშვილი** (მე-9 კლასი), **მელიტა მელიქიშვილი** და **ელა რობაქიძე** (მე-8 კლასი), **ნინო ლონდარიძე** (მე-7 კლასი) და სხვები.

ნაყოფიერად მუშაობს **გახანგრძლივებული დღის ჯგუფი**

(მასწავლებელი **ლეილა რაზმაზიშვილი**), **ქართული ხალხური საკრავების** (ხელმძღვანელი **ვანდა ბლიაძე**) და **ცეკვის** (ქორეოგრაფი **დავით კაჭარავა**) წრეები, სპორტული ტანვარჯიშის (**ბატუტი**)

სექცია (მწვრთნელები: **გია მარმარაშვილი** – საერთაშორისო კლასის ოსტატი სპორტულ აკრობატიკაში, **ია ხოფერია** –სპორტის ოსტატი სპორტულ აკრობატიკაში და **ელგუჯა ბითაძე** – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სპორტულ აკრობატიკაში).

სკოლას ემსახურება მდიდარი ბიბლიოთეკა 10 ათასზე მეტი წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკარი **ლია ბეჟანიძე** მუშაობს მკითხველებთან.

ნაყოფიერია სკოლისათვის მოსამზადებელი ჯგუფი (აღმზრდელი **ლია ბარბაქაძე**) და საბავშვო ბაღის (აღმზრდელი - **თინათინ თოთლაძე, ლია სიფრაშვილი** - აღმზრდელის თანაშემწე) მუშაობა. აღმზრდელები ბევრს ზრუნავენ ცეროდენებზე.

სკოლის მატერიალური ბაზის შენარჩუნებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალს: **გურამ უსტიაშვილს** (ლოჯისტიკის კოორდინატორს), **ნოდარ ფეიქრიშვილს, ჯეკი ფიფიასა** და **ლაურა ორკოშნელს**.

ბიზნეს სკოლამ 2012 წელს წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და ახლა ემზადება ახალი ავტორიზაციისათვის.

ყველა ბარიერის წარმატებით გადალახვას და დიდ გამარჯვებებს გისურვებთ, მეგობრებო!

**ბორის მიშველაძე,**
**პედაგოგიკის დოქტორი.**

# ძაძაი ნერეთელი გაზაფხული

დღეს მერცხალი შემოფრინდა, –
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა! –
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ესთქვი, თუ: „გულსა რაღად ვიტენ?
ახლოს არის მომავალი!

მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია, ტიას!“

## „ის ურჩევნია მამულსა“

# ბებია ამაყობს შვილიშვილით

**რედაქციაში** წერილი მივიღეთ სათაურით: „ვამაყობ შვილიშვილით“. მისი ავტორია ღვაწლმოსილი პედაგოგი **ლამარა ზაქაიძე**. იგი გახლავთ თბილისის 107-ე საჯარო სკოლის ყოფილი მასწავლებელი – 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე ისტორიას, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიას დიდი წარმატებით, პატრიოტული გზნებით ასწავლიდა ახალგაზრდობას. წარმოშობით თიანეთის რაიონიდანაა. მშობლიური კუთხის დიდი სიყვარულის დასტურია, რომ გამოცემული აქვს წიგნები საქართველოს ამ ულამაზესი მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხებზე. **ლამარა ზაქაიძე** გემოვნებიანი, ორიგინალური ხედვა-ხელწერის პოეტია. მისი რამდენიმე ლექსი რამდენჯერმე გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის ფურცლებზე და მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. **ლამარა ზაქაიძეს „გულს უსვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა“**, ასევე – ვაჟას სიტყვები: **„შვილის ლამაზად გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“**. იგივე ითქმის ბებიაზეც, ასევე გულს უსვენია ხატადა ხალხური ანდაზა: **„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასა“**.

ცხოვრებაში ადამიანს ბევრი სიხარული ელოდება, მაგრამ ყველაზე დიდი ბედნიერება გეუფლება, როცა შენი მემკვიდრე სასახელო მამულიშვილი გამოვა, – ასე ფიქრობს ქალბატონი ლამარა. თქვენ როგორ ფიქრობთ, მკითხველო, ბებოს დედიკოზე ნაკლებად უყვარს შვილიშვილი?

უცვლელად გთავაზობთ შვილიშვილის ლამაზად აღმზრდელი ბებიის წერილს:

***

ჩემი შვილიშვილი **ანიკო ჯაჯანიძე** წარჩინებული მოწაფე იყო. სკოლა უმაღლესი ქულებით დაამთავრა. შემდეგ გამოცდები ჩააბარა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, დაამთავრა ისიც საუკეთესო მაჩვენებლებით. პარალელურად მუდმივად ცეკვავდა, მონაწილეობდა შოუში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ 2012 წელს.

ცეკვა დედამ დააწყებინა, შემდეგ კი სხვადასხვა სტუდიებში თანდათან დახელოვნდა და დაიხვეწა. შარშან გახდა საქართველოს ჩემპიონი სამეჯლისო ცეკვებში, რის შემდეგ წავიდა საბერძნეთში. მალე იქაც წარმატებით გამოვდია საბერძნეთის ჩემპიონატში და I ადგილი დაიკავა. ამ წელს (2016 წლის მარტი) მონაწილეობდა საბერძნეთის სახელით იტალიაში, ქალაქ ვენეციაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში. მის კატეგორიაში 190 წყვილი კონკურსანტი იყო. ანიკომ და მისმა მეწყვილემ – ბერძენმა **არგირის არგიროპულოსმა**, იქ 34-ე ადგილი დაიკავეს. ეს დიდი წარმატება იყო ქართველი მოცეკვავისათვის.

ამჟამად ანი სამეჯლისო ცეკვების სტუდიაში ასწავლის მოზარდებს და თან მომდევნო კონკურსებისათვის ემზადება – ცხოვრობს და მოღვაწეობს საბერძნეთის ქალაქ **სალონიკში**. მას გვერდით ჰყავს დედა **ინგა ზაქაიძე**, (ისიც მოცეკვავე იყო, ქორეოგრაფიული ინსტიტუტი აქვს დამთავრებული).

ანის მეორე კლასიდან ვამზადებდით ინგლისურ ენაში, ასე რომ, ინგლისურს კარგად ფლობს. ახლა ანიკო ბერძენ ბავშვებს ინგლისურ და ბერძნულ ენებზე უხსნის გაკვეთილებს. ბედნიერი ბებია ვარ. ვამაყობ ჩემი შვილიშვილით.

**ლამარა ზაქაიძე**

## დავუკვირდეთ საკუთარ ქცევას!

# ხბოს აღტაცება

**ბოჩოლა** რძით რომ გაიჭყიპება, დედის ძუძუს მოსხლტდება და მინდორში კუნტრუშს დაიწყებს – უაზროდ გაგიჟდება, ხან აქეთ მიაწყდება, ხან – იქით, ტლინკაობს. ამას **„ხბოს აღტაცებას“** ეძახიან. არ ვიცი, ეს ჩვენს ხასიათშია თუ არა, მაგრამ ასეთი რამ ქართველებსაც გვემართება – მუდამ სხვას ვაკრიტიკებთ და საკუთარ ქცევას არ ვუკვირდებით. თუ კი ვაცნობიერებთ და მაინც ასე ვიქცევით, მით უარესი: ეს უკვე ზღვარგადასული **მლიქვნელობაა** რაიმე დიდი საზღაურის მოლოდინში. გაიხსენე, მკითხველო: **„მელაკუდამ ტაში დასცხო, ამფერ, ჩემო დათუნაო, როგორ გშვენის ეგ დავლური, მალაყები და ხტუნვაო“**.

ილიას „ბედნიერი ერიდან“ ჩვენს მანკიერებებს (რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც გვახასიათებს) არ ჩამოვთვლი, მხოლოდ „ხბოს აღტაცების“ ორ ეპიზოდს გაგახსენებთ; ერთს – წარსულიდან, ერთს კი – დღევანდელობიდან.

მაშინ რუსი მწერალი **ასტაფიევი** გვესტუმრა. გადაყვნენ მას ჩვენი მწერლები, აქეს, ადიდეს, „დევების აუღებელი სუფრა“ გაუმართეს, ჩიტის რძე არ მოაკლეს, სამოთხის ნირვანაში აბანავეს და იქ თევზი – ციმორი დააჭერინეს.

დაბრუნდა მათი ასტაფიევი მოსკოვში და გამოაქვეყნა პასკვილი: **„ციმორის ჭერა“:** ქართველები არიანო უსაქმურები, დროსტარებას გადაყოლილნი, ორსული ქალებივით უშველებელი ღიპით დადიანო და ასე შემდეგ.

შარშან თურქმა მწერალმა **ფამუქიმ** ნობელის პრემია მიიღო. გადაირივნენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები, ჩამოიყვანეს თავიანთი კუმირი, „პრეზენტაცია“ მოუწყვეს, **სუფრანდაციაც** მიაყოლეს. ერთი სიტყვით, გადაყვნენ.

ერთმა მწერალმა ჰკითხა **უძვირფასეს** სტუმარს, ჩვენს რუსთაველზე რას გვეტყვითო. ასეთი პოეტი კი გამიგონია, მაგრამ მისი „ვეფხისტყაოსანი“ არ წამიკითხავსო!!!

შეგონება: **„ხბოს აღტაცება“ თავმოყვარეობას ლახავს. ღირსების გრძნობა კი კარგი საქონელია.**

**მოსე მწერალი**

31 მარტს თბილისში, მთაწმინდაზე დიდი ქართველი მამულიშვილის ზვიად გამსახურდიას საფლავს უამრავი ქართველი ესტუმრა, - გულით, ვინმეს დაძალებისა და მითითების გარეშე, - სიყვარულითა და ცრემლებით, სინანულითა და მონატრებით, სიამაყის გრძნობითა და მადლიერებით.

დილითვე თეთრი შროშანებით აფეთქებულმა განსასვენებელმა ირგვლივკიდევ უამრავი თაიგული და საგანგებოდ გამზადებული გვირგვინი შეიმატა. აქ იყვნენ ზვიად გამსახურდიას ვაჟიშვილები და ახლობლებიც, რომელთა სახეზე აღბეჭდილ ტკივილს ყველა უსიტყვოდ შეიგრძნობდა და იზიარებდა.

... წლები გავიდა, მაგრამ ხსოვნა არ ფერმკრთალდება... რა ბედნიერი იქნებოდა ქართველი ერი, ცოცხალი ზვიად გამსახურდიასათვის რომ მიელოცა დაბადების დღე და მის ვაჟიშვილებსაც საამაყო მამა სდგომოდა გვერდში...

შაბათობაზე დირექტორი თემურ მენაფირე

ერთი რამ ცხადია: ზვიად გამსახურდიას საფლავი, როგორც ყოველ წელიწადს ხდება, ასობით ქართველმა და არაქართველმაც მოინახულა, გაიხსენა და შეამკო ყვავილებით. ეს ყველაფერს ნიშნავს, ალბათ იმასაც, რომ პოეტს მისთვისაც დაუწერია: „დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინია“...

ამ უწმინდეს ადგილზე მისულ სტუმართა შორის იყვნენ და მშვენიერი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით აახმიანეს გარემო რუსთავის კერძო სკოლა „ლამპარის“ მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ეს ის სკოლაა, რომელმაც წლების წინ ზვიად გამსახურდიას სახელრქმევა არჩია და არა უბრალოდ, რაღათქმაუნდა.

სასწავლებლის დამფუძნებლის, ბატონ **დავით მენაფირეს** პიროვნული ბიოგრაფია ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზევე დაუკავშირდა **ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას** სახელს. შემდგომ წლებში ბატონი დავითი სამშობლოს ჭირისუფლის განცდითა და განწყობით ყველაფერს აკეთებდა, რომ თავისივე დაფუძნებულ სასწავლებელში ისეთი ჯანსაღი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო ჩამოეყალიბებინა, სადაც ეროვნული ცნობიერება და განწყობა ყველა სხვა ღირებულებაზე მაღლა იქნებოდა.

დრომ ბევრი რამ შეცვალა პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ ყოფაში, განათლების სისტემაში, გავიდა წლები საინტერესო მოვლენებითა და ფაქტებით, ლხინითა და ტკივილებით.

უდიდესი ტკივილი გადაიტანა მენაფირეების ოჯახმაც. ვაგლახ, რომ „ლამპარს“ ბატონი დავითის გარდაცვალებით უდიდესი ქარტეხილი დაატყდა თავს. ღირსეული ქართველი კაცის და პედაგოგის დაკარგვა რუსთავმა და მთლად საქართველომ იგლოვა.

... დღემდე ახსოვთ „ლამპარელებს“, რა საოცარი სიხარული და აღტაცება ჰქონდა დაუფლებული დირექტორს, ბატონ დავითს, სკოლას ოფიციალურად ზვიად გამსახურდიას სახელი რომ მიენიჭა. დღეს წარწერა - „ზვიად გამსახურდიას სახელობის კერძო სკოლა ლამპარი“ - სკოლის შესასვლელში რომ არის გაკეთებული, მხოლოდ უბრალო ფირნიში როდია, იგი დიდ შინაარსს იტევს, ეს შინაარსი საცნაურდება თემატურ გაკვეთილებში, სპეციალურად მომზადებულ ლიტერატურულ ღონისძიებებში, გასვლით ღონისძიებებზე, ტრადიციას, რაღათქმაუნდა, ისევ ბატონ დავითის ვაჟიშვილი, ამჟამად სკოლის დირექტორი, ქართულ პოეზიაზე ფანატიურად შეყვარებული, თემურ მენაფირე და ბატონ დავითის მეუღლე, ამ სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი, უაღრესად სათნო და საინტერესო ქალბატონი აზა მაჭავარიანი აგრძელებენ.

ქართული სული სკოლის კედლებში ისევ ცოცხალია, ქართული ეროვნული ცნობიერება ისევ ზეობს და ღრმავდება „ლამპარში“, სადაც ამჟამად 400 მოსწავლე და 40-ზე მეტი პედაგოგია.

მამა თეოდორე სკოლაში

**რუსთავი, „ლამპარი“**

# ახალი გზებით და ახალი სივრცეებით

მთაწმინდაზე

* * *

სკოლის დირექტორი **თემურ მენაფირე**: მამაჩემის უდიდესი სურვილი თავის დროზეც გასაგები იყო ჩემთვის და დღესაც აშკარად ვხედავ მისი ოცნებისა და სურვილების შედეგს. ქართველი ადამიანისათვის სამშობლო ერთადერთი და განუმეორებელი ცნებაა. ზვიად გამსახურდია ამ ცნების შემადგენელი ნაწილია და მის ხსოვნას ვერაფერი გააფერმკრთალებს. მეამაყება, რომ მისი სახელობის სკოლის დირექტორი ვარ და ჩვენს სასწავლებელში მოსულ დიდსა თუ პატარა მოსწავლეს პირველმასპინძლად სწორედ ბატონი ზვიადი ხვდება.

რაც წლები გადის, ვხვდები იმასაც, რომ ბევრს მავალებს მამაჩემის სახელი... ის მაღალპროფესიონალი პედაგოგი და შესანიშნავი ორგანიზატორი იყო. „ლამპარის“ სახელი, არც მეტი, არც ნაკლები, რეზონანსული იყო მისი შექმნის პირველივე დღეებიდან.

... ვცდილობ, ღირსეულად განვაგრძო გზა და არაფერს ვუღალატო.

მოსწავლეები ლიტერატურული კომპოზიციისათვის მე მოვამზადე, ჩვენ ყოველ წელს ვსტუმრობთ მთაწმინდასდა საგანგებოდ აღვნიშნავთ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს. ახლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს კონსანტინე გამსახურდიას სტუმრობა ჩვენს სასწავლებელში, ლექციის ჩატარება და შეხვედრა მოსწავლეებთან.

ზვიადი ქართველთა ცნობიერებაში მარადჟამს ცოცხალი იქნება.

* * *

სკოლის ახალგაზრდა დირექტორი უდიდესი სიფრთხილით არჩევს პედაგოგთა კადრებს და ცდილობს მოსწავლეთა მრავალრიცხოვან კონტიგენტს ყველა საგანში საუკეთესოდ მომზადებული პედაგოგი შეურჩიოს.

**ნათია ედიშერაშვილი**, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში: საგაკვეთილო პროცესის სწორად ორგანიზება სასწავლო წლის განმავლობაში უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. სკოლის ყოველდღიურობა არ გამორიცხავს რაიმე სახის შეფერხებებს, ნებისმიერი საგანმანათლებლო ობიექტი ხომ ცოცხალი, დინამიური ორგანიზმია, მაგრამ ჩვენთან პედკოლექტივის წევრთა თანადგომა

დავით მენაფირე

და ურთიერთდამოკიდებულება, რაც ბატონი დავითის დროიდან მოდის და ახლაც გრძელდება, ყველა პრობლემას ადვილად გვაგვარებინებს.

ამ სკოლაში 2010 წლიდან ვმუშაობ და სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ პედაგოგთა კეთილგანწყობილი ურთიერთობები ადეკვატურ ასახვას პოულობს მოსწავლეთა კეთილგანწყობაზე, არ მახსოვს, რაიმე სერიოზულ უსიამოვნო ინციდენტს ჰქონოდეს ადგილი ჩვენს სკოლაში. აქ ყველამ იცის თავისი საქმე, არავინ არავის ღალატობს და გადამწყვეტ, ანგარიშგასაწევ ფაქტორად, ნიმუშადაც სკოლის დირექტორს, ბატონ თემურს მიიჩნევს.

მეამაყება, რომ წელს XII კლასში 6 მედალოსანი კანდიდატი გვყავს. **ლევან გობეჯიშვილი, მარიამ სხირტლაძე, ნინო ბადალაშვილი, ნინო თავართქილაძე, მიხეილ კიკნაძე, მიხეილ ხეჩიაშვილი** საუკეთესო მოსწავლეები არიან, მათმა ბიოგრაფიამ „ლამპარში“ გაიარა.

40-ზე მეტი მასწავლებლიდან მიძნელდება ზოგიერთის გამოყოფა, იქნებ ერთგვარად უხერხულიც კია, მე მათ, ყველას უდიდეს პატივს ვცემ და ვაფასებ, ამ წუთში რამდენიმე მათგანს დავასახელებ: **ეკატერინე მაქაძე, თეა ახალაია, ნინო ბიჭაშვილი, ვაჟა კაციტაძე, ნანა ყალიჩავა, ქეთევან მასურაშვილი, მაია ფიროსმანაშვილი, ზანდა ღვინჯილია, თამარ ღონღაძე, ია დოლიძე, შალვა გოგიბერიძე**... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, სწორედ ჩვენი სკოლის პედაგოგთა დამსახურებაა, რომ სამივე საფეხურის კლასებში მოსწავლეთა უმეტესობა წარმატებულია.

... ჩვენთან მუშაობს ცეკვისა და სიმღერის სტუდია საუკეთესო მასწავლებლებით - **მურთაზ ფისაძე და ლალი ბრაჭველი** წლების განმავლობაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ მოსწავლეთა გამოსვლებით საქალაქო ღონისძიებებზე. წელს, მაგალითად, საქალაქო სიმღერის ფესტივალ „ეარზე“ მეორე ადგილი ავიღეთ ვოკალში. ეს დიდი სტიმულია მთელი სკოლისათვის... ჩვენთან მუშაობს ჭადრაკის წრე, გვაქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, კვების ობიექტი.

**მაკა ბუზალაძე** - დირექტორის მოადგილე სადამრიგებლო დარგში: ჩვენს სკოლაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ინდივიდუალურ მუშაობას მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მოსწავლეთა კონტიგენტის ერთ ნაწილს სხვადასხვა თუ კერძო სკოლიდან მოსული მოსწავლეები შეადგენს. გვყავს არაქართულენოვანი ეთნოსის ბავშვებიც. მათთან, თუ საჭიროა, დამატებით მუშაობასაც ვატარებთ საგაკვეთილო მომზადებისათვის და სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის მიზნით.

წელს პირველ სემესტრში ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. მათმა შინაარსმა ასახვა ჰპოვა კედლის გაზეთებში, სხვადასხვა სახის სტენდებზე წარმოდგენილ ვიზუალურ მასალაში, ვიდეო კოლაჟებში, სკოლის შთაბეჭდილებათა წიგნში... ხშირად ეწყობა გასვლითი ღონისძიებები, ტარდება საჩვენებელი, ღია გაკვეთილები, ადგილზე ვიწვევთ საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანებს, ჩვენი მოსწავლეები იმარჯვებენ საქალაქო ტურებსა და ოლიმპიადებზე, კურსდამთავრებულები კი თავს ისახელებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და პირველ წელსვე ხდებიან სტუდენტები.

სასურველი შედეგები ძირითადად ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე გაითველება - ჩვენთან მოსწავლეები თავისუფლები არიან ამ ცნების საუკეთესო გაგებით. მათ უშუალო და გულწრფელი ურთიერთობები აქვთ პედაგოგებთან, სკოლის დირექტორთან, კლასის

გაგრძელება მე-8 გვ.

**მე-8 გვერდიდან**

დამრიგებლებთან, ერთურთთან, რაც განსაკუთრებით მაღალი კლასის მოსწავლეებში საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების

პასუხისმგებლობაზე გაითვალეცნობა.

* * *

„ლამპარის“ ყოველდღიურობის უშუალო გაცნობა აშკარას ხდის, რომ აქ მასწავლებლები გამუდმებით სწავლობენ ერთმანეთისაგან, იღებენ კოლეგიალურ რჩევებს განურჩევლად ასაკისა და გამოცდილებისა, აქ ერთმანეთს უსმენენ და უჯერებენ, და ერთი სურვილით, გაუგებარი და უცნობი არაფერი დარჩეს გაკვეთილის მსვლელობისას, რომ მოსწავლე თავისი აქტივობით მასწავლებლის პარტნიორი იყოს, იღებდეს ყველა გამოწვევას, აანალიზებდეს და დასკვნებსაც თვითონ აკეთებდეს ამა თუ იმ მნიშვნელოვან პრობლემაზე ნებისმიერ საკითხში.

ყველა საგნის მასწავლებელი, რომელთაც ტრენინგები გაიარეს, მეტ-ნაკლებად ცდილობს, თანამედროვე სასწავლო საგანმანათლებლო მოთხოვნების დონეზე, ახალი ტექნოლოგიებით ჩაატაროს გაკვეთილი. მაგალითად, წელს უკვე ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილები მათემატიკაში, ქართულში, გეოგრაფიაში...

გეოგრაფიით დაინტერესებულ მოსწავლეებს სულ ცოტა ხნის ნინ სკოლაში სტუმრად ეწვია თსუ-ს ლექტორი, **რომან მაისურაძე**, რომელმაც გეოინფორმაციულ ტექნოლოგიურ სიახლეებზე ბევრი რამ უამბო აუდიტორიას.

სკოლაში ექვსი საგნობრივი კათედრაა, თითოეულს გამოცდილი პრაქტიკოსი მასწავლებელი ხელმძღვანელობს. მოსწავლე - მასწავლებელთა აქტიური მუშაობა გარკვეულწილად კედლის გაზეთებითაც ჩანს. „ნიუტონის ბინომი და პასკალის სამკუთხედი“, „კვადრატული უტოლობა“, „ყველაფერი პითაგორას შესახებ“, „ლითოსფეროს სტიქიური მოვლენები“, „ლიტერატურა უდრის მათემატიკას“ და სხვა - ასეთი ორიგინალურისახელწოდებების გაზეთები აქვთ მოსწავლეებს შესაბამისი მხატვრული გაფორმებებით. სკოლის დერეფნებს ამშვენებს კლასიკოსთა სურათები და მათი ბრძნული გამონათქვამები, მოსწავლეთა ხელით დამზადებული ნივთების კუთხეები.

სკოლაში ეწყობა შაბათობები, სუფთავდება შემოგარენი, ირგვება ხეები, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჯილდოვდება დიპლომებით, სიგელებით, მადლობის ფურცლებით, სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის სკოლის ადმინისტრაცია შესაბამის მნიშვნელოვან შეღავათებს აწესებს, სკოლის მოსწავლეები ყოველ წელს სტუმრობენ მრავალშვილიანთა ოჯახებს და შესაბამისადაც ეხმარებიან.

**სტუმრად მრავალშვილიან დედასთან**

**თეა ახალაია**, დაწყებითი კლასის პედაგოგი: დაწყებით საფეხურზე ორასამდე მოსწავლეა. ძირითადი ბირთვი მოსწავლეებისა,

გახანგრძლივებულ ჯგუფებში შედის გაკვეთილების შემდეგ. მათ საუკეთესო გარემო და კვება აქვთ. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ პატარებს ზოგჯერ სახლში წასვლა აღარცკი უნდათ.

სკოლაში კეთილმოწყობილია იაკობ გოგებაშვილის სახელობის კაბინეტი, სწორედ აქ ტარდება დაწყებითი კლასების ღონისძებები და მათ შორის „ანბანის“ გაცილება.

**ნინო შუკაკიძე, ინგა ჟუჟუნაშვილი, თამარ ფოფხაძე, ლალი ბერიძე, ელენე გამისონია** იმ კათედრის მასწავლებლები არიან, **თეა ახალაია** რომ ხელმძღვანელობს.

**ეკა მაქაძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი, ფასილიტატორი: სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული ენისა დი ლიტერატურის საგნის სწავლებას. გაკვეთილებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ვატარებთ, ტარდება კვირეულები, შემოქმედებითი საღამოები, კათედრა წინასწარ შედგენილი გეგმით მუშაობს და ყველა მასწავლებელი გრძნობს პირად პასუხისმგებლობას.

* * *

„ლამპარში“ სიახლეა ის, რომ მეორე კლასიდან ისწავლება რუსული ენა, პედაგოგები **ნანა ყალიჩავა და ნატალია გელაშვილი** თამაშ-თამაშით, სახალისო მიგნებებით ასწავლიან პატარებს მეზობელი სახელმწიფოს ენას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგი **მაია ფიროსმანაშვილი** ამ სკოლის 15 წლიანი ბიოგრაფიის მომსწრეა და უდიდესი ხალისითაც მუშაობს ყველა კატეგორიის მოსწავლესთან.

* * *

მოკლე საგაზეთო პუბლიკაციაში შეუძლებელია სკოლა „ლამპარის“ წარსულისა და აწმყოს შესახებ უფრო ვრცელი თხრობა, ერთ მნიშვნელოვან გარემოებას კი აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი: ამ სკოლის დიდი „დიასახლისია“ დაარსებიდან დღემდე ქალბატონი **აზა მაჭავარიანი**, რომელსაც ყველა ბავშვი საკუთარი შვილივით უყვარს. თავად იგი ორი შვილის დედაა, „ლამპარს“ კი მესამე შვილად და ბატონი დავითისგან უძვირფასეს დანატოვრად, მესამე შვილად მიიჩნევს. მისი სურვილია, აქ აღზრდილმა თაობებმა ქართველ მამულიშვილთა გზით იარონ და არასოდეს დაივიწყონ „ვისი გორისანი არიან“.

**„ლამპარს“ წინ ახალი გზები და სივრცეები აქვს.**

**ლია მარტაშვილი**

# თემატიური ჯამოფენა ისტორიულ მუზეუმში

რუსთავის ისტორიული მუზეუმი, ტრადიციისამებრ, მორიგი საინტერესო სიახლით გაუმასპინძლდა ხელოვნებისმოყვარულთ. აქ 30 მარტს გაიხსნა და 15 აპრილამდე გასტანს რუსთაველ მხატვართა თემატური შემოქმედებითი გამოფენა სახელწოდებით: „ქალი – ხელოვანთა მუზა“.

ღონისძიების გახსნის დღეს საგამოფენო დარბაზში თავი მოიყარეს მხატვრებმა, მწერლებმა, მუსიკოსებმა, თბილისიდან წვეულმა სტუმრებმა, ქალაქის ხელმძღვანელობამ, ახალგაზრდებმა.

გამოფენას ესწრებოდა და თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა ამჟამად საქართველოში, კერძოდ თბილისში მცხოვრებმა, მხატვრობაზე შეყვარებულმა **მიხეილ ბურგაილტმა**, პროფესიით ოკეანოლოგმა, მეზღვაურმა:

– ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ პატარა ქალაქში ამდენი პროფესიონალი მხატვარი იქნებოდა. მოვიხიბლე მათი ნამუშევრებით. ნახატებიდან, ისევე როგორც რეალური ყოფიდან, საქართველოს სილამაზე იმზირება. აღფრთოვანებას ვერ ვმალავ. სიამოვნებით გავიცნობდი ყველა მათგანს, მითუმეტეს ისეთ მშვენიერ გარემოში, როგორიც ეს მუზეუმია. აქ ჩინებულად გვიმასპინძლეს...

**გია ღარიშვილი,** მომღერალი: მგონი, იმდენი კარგი და ცნობილი მხატვარი, რამდენიც რუსთავშია, არსად არის. ასეთი ღონისძიებები ხშირად უნდა იმართებოდეს და მას ახალგაზრდები უნდა ესწრებოდნენ.

**გურამ მღებრიშვილი**: ჩვენი ოჯახიდან დღევანდელ გამოფენაზე 4 მხატვარია წარმოდგენილი. მიხარია, რომ მუზეუმი ასეთ საინტერესო ღონისძიებებს აწყობს და უყურადღებოდ არ გვტოვებს მხატვრებს.

**დარეჯან ნოზაძე:** ამ საგამოფენო დარბაზისათვის ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი შევარჩიე, გრაფიკული ტილო, რომელიც ცნობილ რუსთაველ შემოქმედს, ჩვენგან უდროოდ წასულ **ია მღებრიშვილს** მივუძღვენი. ყველა ჩემს კოლეგას ვულოცავ გამოფენის გახსნას, მუზეუმის თანამშრომლებს კი დიდ მადლობას მოვახსენებ ყურადღებისათვის.

**ალექსანდრე თოდუა**, მხატვარი: მიმაჩნია, რომ ჩემს მიერ ნატურიდან შესრულებული ტილო ქალის სხეული – ერთ-ერთი საუკეთესოა წარმოდგენილ ნამუშევრებს შორის და ზოგადად, მიმაჩნია, რომ ნატურიდან შესრულებული ნახატებით უფრო უნდა იწონებდნენ თავს ავტორები.

**ნარგიზა ტაბატაძე**, ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ქვემო ქართლში: ნიჭიერ მხატვართა ამ გამოფენას დღეს უფრო მეტად ქალები უნდა დასწრებოდნენ.

მხატვრებმა **გიორგი ჩალაძემ, ლექსო მღებრიშვილმა, გია ქოქიაშვილმა, ოთარ ლალიაშვილმა, დარია ნოზაძემ, მაია მეტრეველმა, ია სარალიძემ, თემურ მექოშვილმა, რაჟდენ ჯოხაძემ** და სხვებმა დამთვალიერებლებთან საუბრისას ბევრი საგულისხმო მოსაზრება მოისმინეს.

ღონისძიების ყველა მონაწილის შეფასება კი ერთი იყო: მათ მადლობა გადუხადეს პროექტის ავტორებს: მუზეუმის დირექტორს: **ნაზი პაჭიკაშვილს,** საგამოფენო განყოფილების ხელმძღვანელს **ინგა გაფრინდაშვილს** და გამოფენის კურატორს **თეონა ჯულაყიძეს**, რომელთაც საგამოფენო დარბაზში მხატვართა ნამუშევრები გემოვნებით განალაგეს და ასე გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს.

ღონისძიება, რომელიც 15 აპრილამდე გასტანს, ბევრ მოზარდს მიიზიდავს მხატვართა სახელებისა და მათი შემოქმედების გასაცნობად.

**ლია მარტაშვილი.**

**რუსთავი ღონისძიებაზე, დირექტორი ნ. პაჭიკაშვილი**

**ღმერთმა დაგლოცოთ, მე-19 ბაგა-ბაღელებო!**

# გულს გაგვიხარებს ეს გაზაფხული

 დირექტორი ნატო ჯიქია

**დილმის** მასივის მეოთხე კვარტლის მშვენებაა ცეროდენების ეს ზღაპრული სამყარო. კოხტად ჩამწკრივებული კოტეჯები, ბაღნარად ქცეული ეზო. სისუფთავე, ხალვათობა აღტაცებაში მოგიყვანთ. გაზაფხული უკვე ძალაში შევიდა და ზამთარში მოწყენილი კარუსელები, სასრიალოები, საქანელები, „აიწონა-დაიწონა“ და

„აჩუ-აჩუ ცხენები“ გამოცოცხლდნენ, რადგანაც ჟივილ-ხივილით ეხვევიან ცუგრუმელები.

ბაგა-ბაღში მშობლებმა მომაცილეს. მათგან შევიტყვე – გახარებული არიან ბავშვები. მათზე ზრუნვით, კმაყოფილი არიან მშობლები აქაური პირობებით. – კვება როგორია? – ვეკითხები. ასეთიაო, – ცერა თითი ასწიეს.

ერთი მათგანი პოეტური ბუნების გამოდგა: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო“, – მომილექსა.

ბაგა-ბაღში ახალი დირექტორი მოსულა. საზოგადოებას აინტერესებს მისი გაცნობა. გულთბილად მიგვიღო **ნატო ჯიქიამ**. იგი თბილისის მაშინდელი სულხა-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის აღზრდილია – დამთავრებული აქვს სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტი. სპეციალობით ფსიქოლოგია. ძალიან უყვარს ცუგრუმელები. მათთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. უმუშავნია ბაგა-ბაღებში აღმზრდელად, ფსიქოლოგად, რაიონის ახალგაზრდების სასახლის დირექტორად. ამ სფეროს ზედგამოჭრილი პროფესიონალია, არა?

– ჩემი მიზანია უბნის მცხოვრებთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება, აქ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესება, მოთხოვნილება მოსახლეობისა დიდია, რომელსაც ობიექტური მიზეზების გამო, სრულად ვერ ვაკმაყოფილებთ. ეზოში დგას ავარიული შენობა. მოკლე ხანში ვაპირებთ მის რეაბილიტაციას, რაც ახალი ჯგუფების გახნის საშუალებას მოგვცემს, – გულწრფელად განაცხადა ჩვენთან საუბარში **ნატო ჯიქიამ**.

ბევრი თანამშრომელი გავიცანით, ყველას შევატყვეთ კეთილგანწყობა ახალი დირექტორის მიმართ, რომ ენდობიან მას, იმდენად კეთილი ურთიერთობა აქვს ყველა თანამშრომელთან.

ახალ დირექტორს ერთგულად



უდგას მხარში გამოცდილი მოადგილე **ანა ცინცაძე**. მას ხომ დიდი წვლილი მიუძღვის ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში.

მეთოდისტი მთელი ბაგა-ბაღის სული და გული რომ არის, ვინ არ იცის. ჰოდა, დიდი ხანია სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს მეტად ნაყოფიერად უძღვება

გამოცდილი პედაგოგი **თამარ ანთიძე**. იგი მეთოდური დახმარების კუთხით კოორდინაციას უწევს **„სასკოლო მზაობის პროგრამის“** მოთხოვნათა შესრულებას.

– პროგრამა საინტერესო, ბავშვებისათვის მიმზიდველი თემებითაა მდიდარი. მაგალითად, **„ჩვენი უბანი“**, **„მეგობრები“**, **„ჯანმრთელობა“**, **„მითები“**, **„მცენარეები“** და სხვა. ამ თემებზე აღმზრდელები ატარებენ ხალისიან ღონისძიებებს. ამას წინათ ჩაატარეს **„იაკობის საღამო – ღია გაკვეთილი“**. მოდის, **„დედაენის“** დღე – 14 აპრილი. ამისთვის ვემზადებით. ასე რომ, წელს სკოლაში სწავლისთვის გაცილებით უკეთ მომზადებულ, ნიჭიერ თვალხატულა გოგო-ბიჭებს ზეიმით გავაცილებთ სკოლაში, – განმარტავს მეთოდისტი.

ამ კუთხით ნაყოფიერი მუშაობისთვის **თამარ ანთიძემ** დირექციასთან ერთად მადლობის სიტყვებით და ქებით მოიხსენია

გამოცდილი აღმზრდელები და მათი თანაშემწეები: **ნონა ჩალათაშვილი**, **თამარ ელკანიშვილი**, **ნინო გოდერძიშვილი**, **მანანა მამაცაშვილი**, **ნანა ხარაზიშვილი**, **ლიანა ნამგალაური**, **ლალი გაბედავა**, თანაშემწეები: **მანანა აბრამიძე**, **ნანა ლაბაძე**, **ნინო ლაბაძე**, **ნანა ბარამაშვილი**, **ირმა სოფრომაძე**, **თამთა კალანდაძე**. დაგელოცოთ მარჯვენა, მეგობრებო!

გვინდოდა, თქვენი აღზრდილი, გამორჩევით ნიჭიერი ცეროდენები დაგვესახელებინა, მაგრამ იმდენად ბევრნი არიან, შეგვეშინდა, ვინმე გამოგვრჩენოდა და გულნატკენი დაგვრჩებოდნენ.

ამ მშვენიერ ანსამბლში არ შეიძლება მადლობა არ ვუთხრათ ბაგა-ბაღის ცხოვრების გამხალისებელს, ცეროდენების სულის გამფაქიზებელს, ნიჭიერ პედაგოგს მუსიკისა **თეა ნინიძეს.**

ბავშვების ჯანმრთელობაზე ბევრს ზრუნავს გამოცდილი ექთანი **ნინო ქავთარაძე**. შრომისმოყვარე მნეს **მზევინარ ძნელაძისა** და მოვალეობის „ხუთიანზე“ შემსრულებლის, საქმეთამწარმოებლის **ვერა ლომსაძის** გარეშე ბაგა-ბაღის წარმატება წარმოუდგენელია. ისინი კეთილსინდისიერად მოღვაწეობენ.

ყველაზე პოპულარული პერსონაჟები არ გვინდა გამოგვრჩეს,

ესენი გახლავთ მზარეული **ლია კობახიძე** და მისი თანაშემწე **მარინე ცხადაძე**. მათი დამზადებული კერძები ძალიან უყვართ პატარებს.

ზემოთ რომ აღვწერეთ ბაგა-ბაღის მომხიბლავი იერ-სახე, ყველაფერი იმ შრომისმოყვარე მუშაკების ნახელავია, რომელთაც ახლა ვახსენებთ: **ნათელა ასათიანი**, **მზია ჭკადუა**, **ნონა აბუაშვილი**, **ლუბა ახობაძე**, **ტარიელ ხუნწელია**, **დავით ცერაძე** და **რობიზონ თამაზაშვილი** არიან ყველა ამ სიკეთის შემოქმედნი. აქ ყველას უყვარს მებაღე **ანა პეტრიაშვილი**, რომლემაც ეზო ბაღნარად აქცია. **„გაზაფხულო, გაზაფხულო, რა კარგი ხარ, რა კარგი“!**

დაე, მუდამ ისმოდეს აქ ამ სიმღერის ტკბილმშობლიური მელოდიები! დაე, მუდამ ყვაოდეს აქ ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!

**ბორის ხარებავა**

კათედრა — კეთილი კოორდინატორი

# ასე ვამაღლებთ სწავლების ხარისხს

**დაწყებითი** კლასების მასწავლებლებზე უკეთ ვისა აქვს გათავისებული ჭალადიდელის შეგონება: **„თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია?“** ჰოდა, ამ მყარი საფუძვლის შესაქმნელად შემოქმედებითი გატაცებით ირჯებიან **თბილისის 167-ე საჯარო სკოლის პედაგოგები.**

სწავლებაში მაღალი შედეგების მისაღწევ ღონისძიებებზე, სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე მოკლედ გვესაუბრა საგნობრივი კათედრის (ძველებურად მეთოდგაერთიანების) ხელმძღვანელი, **ბელა ნავდარაშვილი**.

***

– **ჩვენს** სკოლაში ძლიერი, თანამედროვე დონეზე მომზადებული პედაგოგები მოღვაწეობენ. ამას თამამად ვამბობ კათედრის ისეთ გამოცდილ წევრებზე, როგორიც გახლავთ: **ირინე სულხანიშვილი**, **ნატალია ნავდარაშვილი**, **რუსუდან გორგაძე**, **ლია ცნობილაძე**, **ეფემია სონიშვილი**, **ხათუნა წულაძე**, **ლაურა შუშტაკაშვილი**, **დალი ნასყიდაშვილი**, **ირინე სალია**, **ლია ჭუმბურიძე**, **ნარგიზა კიკვიძე**, **ხათუნა დათუნაშვილი**, **ნაზი კილაძე**, **იზოლდა ნიქაბაძე**. მუსიკის მასწავლებლები: **ნინელი კირვალიძე**, **ნონა ჭეჟია**.

უფროსი მასწავლებლის სტატუსი მინიჭებული აქვთ სერთიფიცირებულ მასწავლებლებს: **რუსუდან გორგაძეს**, **ნატალია ნავდარაშვილს**, **ლია ცნობილაძეს**, **ეფემია სონიშვილს**, **დალი ნასყიდაშვილს**, **ირინა სალიას**, **ლია ჭუმბურიძეს**, **ბელა ნავდარაშვილს**.

კრედიტქულები დაიმსახურეს 2011-2014 წლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულმა მასწავლებლებმა: **ბელა ნავდარაშვილმა**, **ლიკა ჭუმბურიძემ**, **დალი ნასყიდაშვილმა** და **რუსუდან გორგაძემ**. დირექტორი **ელენე ფუტკარაძე** და მისი მოადგილე **ლია ნიშნიანიძე** უდიდეს ყურადღებას უთმობენ სკოლაში განათლების ამ პირველ საფეხურს.

დაწყებითი კათედრის წევრები აქტიურად ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, სემინარებს, მასტერკლასებს, კონფერენციებს, მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებში. ასევე, გეგმავენ და ახორციელებენ საგანმანათლებლო პროექტებს, მუსიკალურ-ლიტერატურულ კომპოზიციებს.

მეორე ეროვნულ კონფერენციაზე **„საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“** მასწავლებლებმა წარადგინეს საკონფერენციო თემები და პრეზენტაციები. მათმა ნაშრომებმა ცენტრის საკონკურსო კომისიის უმაღლესი შეფასება მიიღო და შესაბამისად, მიწვეულნი იყვნენ რეგიონალურ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ბაზალეთში.

კონკურსში გავიდნენ: **რუსუდან გორგაძე** პროექტის თემით - **„ფიროსმანი და მისი შემოქმედება“** და **ბელა ნავდარაშვილი** თემით - **„ინტეგრირებული გაკვეთილი მათემატიკასა და ხელოვნებაში“**.

სკოლა ჩართულია „G-PRIED“ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში. კათედრის წევრები აქტიურად ატარებენ სამოდელო გაკვეთილებს: ქართულ ენასა და ლიტერატურაში კითხვისა და წერის ეფექტური მეთოდების გამოყენებით, მათემატიკაში კი - ინოვაციური მეთოდებით. პარალელური კლასის მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ჩატარდა და კიდევ ჩატარდება ცეროდენების შემეცნებითი და მხატვრული უნარჩვევების განმავითარებელი ხალისიანი ღონისძიებები.

ერთი სიტყვით, **მალე დამთავრდება სასწავლო წელი და მე-5 კლასში ნიჭიერი, ჭკვიანი, მაღალ საფეხურზე სწავლისთვის კარგად მომზადებული ცეროდენები გადაფრინდებიან.**

**ბელა ნავდარაშვილი,**
დაწყებითი კლასების
კათედრის ხელმძღვანელი

## გიორგი ლეონიძე

## „დედა ენა“

წიგნი ჩვენი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!
დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი
მგალობელი ფრინველი.
იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.
ტკბილად რომ გაგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი —
შავი კაბით გაზრდილებს,
გახუნებულ ლეჩაქით.
ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული.

ფელეტონი

# „ყვავი რა ვარდსა იშოვნის, თავი შაშვი ჰგონია“

**კომბლე** ის კაცია, ვინც კომბლებს თლის და ჭერში აწყობს... მოსე მწერალი ის კაცია, ვინც ყოყლოჩინობას, მლიქვნელობა-მატყუარობას ვერ ეგუება...

მოწინავე სკოლაზე და ახალმოსულ დირექტორზე მისი ავტორიტეტის ამწევ-ამამაღლებელი სტატიის დაწერა განვიზრახე. საბაბიც მქონდა: – ამ სკოლის მერვეკლასელმა მოსწავლემ მეტროში კარგი აღზრდილობა გამოავლინა – მოხუცს თავაზიანად ადგილი დაუთმო და ტვირთის წაღებაშიც უშველა.

ურთულესი ბარიერების გადალახვის შემდეგ დირექტორთან შევაღწიე. თავიდანვე ავად მენიშნა ახალბედა ხელმძღვანელის ზედმეტად ოფიციალურ-ქედმაღლური ტონი მასზე დიდად ასაკოვანი სტუმარ-კოლეგის წინაშე, მისი მძიმე-მძიმე პასუხები, თითქოს წყალობა გაიმეტაო. მოსე მწერალი ფსიქოლოგია და ასეთ ნიუანსებს ადვილად ამჩნევს. მსგავს შემთხვევაში იტყვიან, საუბარში არ ამყვაო.

მოსვლის მიზანი რომ გავაცანი, ესიამოვნა, ახლა არ მცალიაო და ნაჩუქარ გაზეთს საინტერვიუო კითხვარი დააკრა. შევთანხმდით: ჯერ იმ ზრდილობიან ბიჭზე უნდა დაგვეწერა სტატია, შემდეგ ნომერში კი, – სკოლის მიღწევებზე, პედაგოგებზე.

დირექტორს, კლასის ხელმძღვანელს, მშობლებს პრესაში მადლობა უკვე გამოვუცხადეთ კარგი მოსწავლის აღზრდისთვის. რადგანაც გაზეთი სკოლაში არ ჰქონდათ გამოწერილი და ვერც საცალო ქსელში იშოვიდნენ, დიდი წვალებით კვლავ დირექტორს დავუკავშირდი, ბიბლიოთეკარი გამოუშვით და რამდენიმე ცალს საჩუქრად გამოვატან-მეთქი. შეიცხადა, მე რომ არ ვიცოდი ისე, ჩემს სკოლაზე რა დაწერეთო?! ვერაფერი გავუგე მის ამ უცნაურ ქცევას. მე – შენსკენ, შენ – ეშმაკებისკენ?

კარგა ხანი გავიდა, არც არავინ გამოჩენილა, არც არავინ გამომეხმაურა. დანაპირების შესახსენებლად ძალიან ბევრჯერ ვცადე დირექტორთან დაკავშირება ხან კაბინეტის ტელეფონით, ხან – მობილურით, მაგრამ – ამაოდ. საქმისმწარმოებლისგან გამუდმებით მესმოდა: კაბინეტში არ არის, ზევით არის, ქვევით არის, შუაში არის, გარეთ არის, შიგნით არის, თათბირზეა, შეხვედრაზეა...

– გთხოვთ, ჩემი თხოვნა შეახსენოთ, ქალბატონო! – შევახსენებ, გადავცემ, ვეტყვი, ვეტყვი, მოსე-ჯან!

– სკოლაზე წერილის გაკეთებას თავად შემპირდა, თავად დირექტორის სურვილია ეს, – არ მოვეშვი.

ახლა ჩემს მაგივრად თვით საქმისმწარმოებელმა დაკარგა მოთმინება და მიყვირა, მაგრამ რა მიყვირა: რამდენჯერ უნდა დარეკო?! ვერ გაიგე? ვერ ხვდები, რომ დირექტორს შენთან საუბარი არა სურს? რომ უნდოდეს, აქეთ დაგირეკავდა! მას ათასი საქმე აქვს, შენი წერილისთვის სადა ცალია?! – და ყურმილის დახეთქების ხმა ჩემს ყურმილში გავიგონე. დედაია, რა იყო ეს?!

როგორ ფიქრობ, მკითხველო, სოფიო ხვედელიძის კარნახის გარეშე საქმეთმწარმოებელი ასეთ რამეს გაბედავდა?

აი, მკითხველო, რა გადამხდა 105-ე სკოლაში.

ფსიქოლოგი **მოსე მწერალი**

P.S. **ვიცი**, პატივცემული დირექტორი სამინისტროში თუ არა, რესურსცენტრში მაინც გავარდება, შეურაცხყოფა მომაყენესო, მაგრამ რესურსცენტრის უფროსი, ვფიქრობ, იოლად დარწმუნდება, რომ საქმე პირიქითაა: დირექტორმა თავად თავის საქმისმწარმოებელს ჩემზე სულ „გაუგებელი“ და „მიუხვედრელი“ აძახებინა. მე კი გამოუცდელ დირექტორს მხოლოდ თავმდაბლობა-თავაზიანობის საჭიროება შევახსენე. ვინ იცის, როდის და სად გამოადგება?

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 7 (4528)
6 აპრილი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113